



შუახვევის მუნიციპალიტეტის მერის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა შუახვევი

N 06-63  
23/01/2018

63-07-4-201801231046

**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს  
შექმნის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“  
54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. შეიქმნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო შემდეგი  
შემადგენლობით (06-326; 23/05/2018):

1.1 ფრიდონ ფუტყარაძე – შუახვევის მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს თავმჯდომარე;

1.2 რუსუდან შავაძე – შუახვევის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე განათლების, კულტურისა და  
სპორტის საკითხებში, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

1.3 დავით დავითაძე – შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, არქიტექტურისა და  
ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;

1.4 ზაზა ზოიძე – შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი;

1.5 ფრიდონ დავითაძე – შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და  
ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი;

1.6 ანზორ ცეცხლაძე – შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის  
უფროსი, საბჭოს წევრი;

1.7 ამირან ხიმშიაშვილი – შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა  
და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ტურიზმის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა  
განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის საკითხებში,  
საბჭოს წევრი;

1.8 ფატი ჭაღალიძე – შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი  
რესურსების კომისიის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

1.9 ზაზა დავითაძე – შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის  
თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

1.10 გოჩა ჯინჭარაძე – შშმ პირი, საბჭოს წევრი;

1.11 თამაზ მიქელაძე – შშმ პირი, საბჭოს წევრი;

1.12 ნანა ქამადაძე – შშმ პირის მშობელი, საბჭოს წევრი.

1.13 სოფო დავითაძე – საქართველოს პარლამენტის წევრის, შუახვევის მაჟორიტარი დეპუტატის  
წარმომადგენელი, საბჭოს წევრი.

1<sup>1</sup> . საბჭოს მდივნად დაინიშნოს დინარა გელაძე – შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი (06-326; 23/05/2018).

2. დამტკიცდეს საბჭოს დებულება თანდართული დანართის მიხედვით.

3. ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შეზღუდული შესაძლებლობების  
მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნის შესახებ“ შუახვევის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015  
წლის 8 დეკემბრის №06-227 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ფრიდონ ფუტყარაძე

მუნიციპალიტეტი მერი ხელმძღვანელობა

**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს  
დებულება**

მუხლი 1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო.

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შუახვევის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს (შემდგომში საბჭო) ფუნქციებს, მუშაობის წესს, უფლებებსა და მოვალეობებს და მიღებულია საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის №76 განკარგულებით დამტკიცებული სამთავრობო გეგმისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

2. საბჭო არის შუახვევის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომშიმერი) მიერ შექმნილი სათათბირო ორგანო, რომელიც ამ დებულებით განსაზღვრული წესითა და უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლის შუახვევის მუნიციპალიტეტში შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებს, შეიმუშავებს წინადადებებს პრობლემების გადაწყვეტის საკითხებზე და წარუდგენს მერს, აკონტროლებს შშმ პირებთან დაკავშირებით დამტკიცებული პროგრამებისა და სხვა ღონისძიებების შესრულებას.

3. საბჭო ხელმძღვანელობს ამ დებულებითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

4. საბჭოს უფლებამოსილებებს განსაზღვრავს მერი.

5. საბჭო შექმნილია განუსაზღვრელი ვადით და მისი უფლებამოსილება შეიძლება შეწყდეს მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 2. საბჭოს ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები

1. საბჭოს შეიმუშავებს წინადადებებს და წარუდგენს მერს, ახორციელებს კონტროლს მათ შესრულებაზე ისეთ საკითხებზე, როგორცაა:

ა) შშმ პირთა კულტურული და ენობრივი თვითმყოფადობის აღიარებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

ბ) კულტურული დაწესებულებების, მათ შორის, თეატრების, კინოთეატრების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, ტურისტული სამსახურებისა და ეროვნული კულტურის ძეგლების მისაწვდომობის უზრუნველყოფა შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა, აღჭურვა;

გ) სპორტულ-რეკრეაციული ზონების ადაპტირება;

დ) ხელოვნების წრეების გახსნა შშმ პირთათვის;

ე) სპორტული, სარეკრეაციო და ტურისტული ობიექტების ფიზიკური გარემოს ადაპტირება შშმ პირთა საჭიროებებზე;

ვ) შშმ სპორტსმენთა უზრუნველყოფა „აქტიური“ ტიპის სავარძელ-ეტლებით, სპეციალურჯანბრებითა და შესაბამისი ტრენინგით;

ზ) სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სპორტული ინტეგრირებული ჯგუფების შექმნა გადამზადებული პედაგოგების მონაწილეობით;

თ) ხელოვნების წრეების გახსნა შშმ პირთათვის;

ი) სპორტული, სარეკრეაციო და ტურისტული ობიექტების ფიზიკური გარემოს ადაპტირება შშმ პირთა საჭიროებებზე;

კ) პორტული, სარეკრეაციო და ტურისტული ობიექტების აღჭურვა თანაბარი

მისაწვდომობის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო ორიენტირებითა და სერვისით.

2. საბჭო უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შედგენაში; მოითხოვოს ბიუჯეტში ისეთი საკითხების გათვალისწინება, რომლებიც შეეხება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტას;

ბ) შეიმუშაოს და მერს წარუდგინოს შშმ პირებთან დაკავშირებული, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამები;

დ) მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან/თანამდებობის პირებისგან გამოითხოვოს ინფორმაცია შშმ პირებთან დაკავშირებული ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობაზე;

ე) თავის ფუნქციების განხორციელების ფარგლებში ისარგებლოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებით.

3. საბჭო ვალდებულია შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე:

ა) შეაგროვოს მონაცემები შშმ პირთა შესახებ;

ბ) შეისწავლოს თეატრების, კინოთეატრების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, ტურისტული სამსახურებისა და ეროვნული კულტურის ძეგლების მდგომარეობა შშმ პირებისთვის მათი ხელმისაწვდომობის საკითხის დასადგენად, შეიმუშაოს წინადადებები მათი ადაპტაციისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;

გ) შეისწავლოს შშმ პირების ოჯახები, მათი სოციალურ-ეკონომიკური, ჯანმრთელობის მდგომარეობა და შეიმუშაოს დახმარების პროგრამები;

დ) მერს პერიოდულად წარუდგინოს იფორმაცია გაწეული საქმიანობის, შშმ პირთა დახმარების პროგრამების შესრულების და სხვა ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 3. საბჭოს ხელმძღვანელობა და მუშაობის წესი.

1. საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს მერი.

2. საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

ა) საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) საბჭოს მდივანი;

დ) საბჭოს წევრები.

3. საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილი იქნან საზოგადოების, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლები.

4. საბჭოს თავმჯდომარე:

ა) ორგანიზებას უკეთებს საბჭოს მუშაობას, იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომებს;

ბ) უზრუნველყოფს საბჭოს საკანცელარიო საქონლითა და სხვა აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგებას;

გ) მერს წარუდგენს ინფორმაციას, კვარტალში ერთხელ კი წერილობით ანგარიშს საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

დ) სხდომამდე 7 დღით ადრე ადგენს დღის წესრიგს და უზრუნველყოფს მის გამოქვეყნებას.

5. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

6. საბჭოს სხდომა ღიაა. საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე საბჭო უფლებამოსილია სხდომა გამოაცხადოს დახურულად.

7. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

8. სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გამამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა. \_

9. საბჭოს სხდომის ოქმს აფორმებს საბჭოს მდივანი.

10. სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

11. სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს სხდომის ოქმს, ასევე უფლებამოსილია ოქმს წერილობით დაურთოს თავისი განსხვავებული აზრი.

მუხლი 3. საბჭოს გადაწყვეტილებათა სამართლებრივი შედეგები.

1. საბჭოს გადაწყვეტილებები და წინადადებები სარეკომენდაციო ხასიათისაა და მერისთვის არ წარმოშობს აუცილებლად შესასრულებელ ვალდებულებას, თუკი ისინი გათვალისწინებული არ იქნება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით.

2. მერი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ გაიზიაროს საბჭოს გადაწყვეტილებები, შეიტანოს მასში ცვლილებები, გაზარდოს ან შეამციროს საბჭოს რეკომენდაციით განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსება.

